

**ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის
გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა**

**„შშმ სტატუსის ბავშვთა და ვეტერანთა საკურორტო-სამკურნალო
რეაბილიტაცია“ ქვეპროგრამის განხორციელებაში მონაწილეობის
მსურველ პირთათვის**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია (ქ. ბათუმი, ლ. ასათიანის ქ. №25) აცნობებს ყველა დაინტერესებულ პირს:

1. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულია შშმ სტატუსის ბავშვთა და ვეტერანთა (შშმ პირებისა და დაინვალიდებულ (ომში და ომის შემდგომ) ომის ვეტერანთა, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრების, შშმ სტატუსის პირთა 30 წლამდე, მცირე ტიპის საოჯახო სახლის ბენეფიციარების, სოციალურად დაუცველი (100 001-მდე სარეიტინგო ქულების მქონე) ხუთი და მეტი მრავალშვილიანი ოჯახების ბენეფიციარების 12 დღიანი საკურორტო მომსახურება. ბიუჯეტი - 345 000 ლარი. ერთი დღის მომსახურება ბენეფიციარზე - 40 ლარი. შშმ სტატუსის პირთა და დაინვალიდებულ (ომში და ომის შემდგომ) ომის ვეტერანთათვის განკუთვნილია ერთი თანმხლები პირი, რომლებიც ასევე ფინანსდება 40 ლარით.

2. „შშმ სტატუსის ბავშვთა და ვეტერანთა საკურორტო-სამკურნალო რეაბილიტაცია“ ქვეპროგრამის განხორციელების მიზანია საკურორტო მომსახურება. მიმწოდებელს უნდა გააჩნდეს სანატორიუმი, სასტუმრო ან დასასვენებელი სახლი ან ქვეკონტრაქტორთან უნდა ჰქონდეს გაფორმებული მომსახურების ხელშეკრულება. ზემოთ აღნიშნულს უნდა დაერთოს სასტუმროს ან სანატორიუმის ეზოს, ოთახების, სასადილო ოთახის, აბაზანის ფოტოები. მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს სამჯერადი სრულფასოვანი კვება. ღონისძიებით განსაზღვრული მომსახურების მიწოდება ხორციელდება ვაუჩერის საშუალებით. ქვეპროგრამის მოსარგებლეს აქვს თავისუფალი არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა მომსახურების მიმწოდებლებს შორის, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

3. მომსახურების გაწევის ვადაა 2019 წლის 10 ივნისიდან 2019 წლის 15 ოქტომბრის ჩათვლით პერიოდი.

4. ქვეპროგრამის მოსარგებლეები არიან შშმ პირები და დაინვალიდებული (ომში და ომის შემდგომ) ომის ვეტერანები, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრები, შშმ სტატუსის პირები (30 წლამდე), მცირე ტიპის საოჯახო სახლის ბენეფიციარები, სოციალურად დაუცველი (100001-მდე სარეიტინგო ქულების მქონე) ხუთი და მეტი მრავალშვილიანი ოჯახების ბენეფიციარები.

5. დასასვენებელ/საკურორტო ღონისძიებაში მონაწილეობის მსურველმა ორგანიზაციებმა გთხოვთ, მოგვმართოთ მისამართზე: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ლუკა ასათიანის ქ. №25.

6. დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტები:

ა) წერილობითი განაცხადი „შშმ სტატუსის ბავშვთა და ვეტერანთა საკურორტო-სამკურნალო რეაბილიტაცია“ ქვეპროგრამის განხორციელებაში მონაწილეობის მისაღებად;

ბ) მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონის ნომერი, ფაქსი, საიდენტიფიკაციო კოდი, საბანკო რეკვიზიტები);

გ) პრეტენდენტს უნდა გააჩნდეს კარგად აღჭურვილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ფართი ბენეფიციართა განთავსებისათვის, შესაბამისი შენობა-ნაგებობა ქ. ბათუმის ტერიტორიაზე (პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტაციის ან იჯარის შემთხვევაში-საიჯარო ხელშეკრულების ასლ(ებ)ი, ინფორმაცია ტექნიკური შესაძლებლობის შესახებ მოწოდებული უნდა იქნეს ტექსტის სახით შესაბამისი ფოტო-სურათების, ნახაზების და ა.შ. თანდართვით.

შენობას უნდა გააჩნდეს შიდა ეზო, სამზარეულო, სველი წერტილები, ადაპტირებული გარემო.

შშმ სტატუსის პირთა და ვეტერანთა საკურორტო მომსახურების შესახებ ინფორმაცია განთავსებულია ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ვებ-გვერდზე: www.batumi.ge.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ მისამართზე: ქ.ბათუმი, ორბელიანის ქ. №10, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური. ტელეფონი: (0422) 24-63-02; 577 30 26 59; მარინა რუხაძე.